

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის
ადგილობრივი ბიუჯეტის წლიური შესრულების
ა ნ გ ა რ ი შ ი**

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის წლიური შემოსულობების მიმდინარე დაზუსტებული გეგმა იყო 17 891 725 ლარი, ფაქტიურ შემოსავლებმა კი შეადგინა 18 321 850 ლარი, ანუ გეგმა შესრულებულია **102.4%-ით**

გარდა ადგილობრივი შემოსავლების და სხვა შემოსავლებისა, ადგილობრივ ბიუჯეტში დაგეგმილი იყო აუცილებელი ხარჯების დასაფარავად გათანაბრებითი ტრანსფერი, რომლის წლიური გეგმა შეადგენდა 7776500 ლარს, ფაქტიურად მიღებულია 777650 ლარი ანუ 100%. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის წლიური დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 2951123 ლარს ფაქტიურად მიღებულია 2 924 959 ლარი ანუ 99.1%. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო 1 401 340 ფაქტიურად მიღებულია 1 401 335 ანუ 100%. განვიხილოთ შემოსავლები სახეების მიხედვით - ქონების გადასახადის წლიური გეგმა შეადგენდა 3121681 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 3393814 ლარი ანუ გეგმა შესრულდა 108.7%-ით. სხვა შემოსავლების 2016 წლის წლიური გეგმა შეადგენდა 1 246 396 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 1 391 969 ლარი, ანუ 111.7%. მათ შორის:

- შემოსავალი სესხის, დეპოზიტის, ვექსელის და სხვა სახის პროცენტებიდან (სარგებელი) წლიური გეგმა შეადგენდა 140 000 ლარს, ფაქტიურად შესრულებამ შეადგინა 140 435 ლარი. ანუ გეგმა შესრულდა 100.3%-ით.

- შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან გეგმა შეადგენდა 60000 ლარს. შესრულებამ შეადგინა 53 082 ლარი, ანუ 88.47%;

- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებიდან გეგმა შეადგენდა 40 000 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ კი შეადგინა 42 077 ლარი, ანუ 105.2%

- შემოსავლები მომსახურების გაწევიდან გეგმა შეადგენდა 55 000 ლარს, ფაქტიური შესრულებამ შეადგინა 53 820 ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 97.85%-ით;

- შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) გეგმა შეადგენდა 361 058 ლარს, ფაქტიური შესრულებამ შეადგინა 343 952 ლარს ანუ გეგმა შესრულდა 95.26 %-ით.

- შემოსავლები არაფინანსური აქტივებიდან გეგმა შეადგენდა 70 685 ლარს ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 71 920 ლარი. გეგმა შესრულდა 101.7%.

იხილეთ დანართი №1.

2016 წლის ხარჯვითი ნაწილის წლიური დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 19 758 104 ლარს, ფაქტიურად საკასო შესრულებამ შეადგინა 18 671 078 ლარი, გეგმა შესრულდა 94.5% -ით.

2016 წელს ბიუჯეტით სულ განხორციელდა 149 ინფრასტრუქტურული ღონისძიება საიდანაც 145 ღონისძიება დასრულებულია ხოლო 4-ღონისძიება გრძელდება მომდებნო 2017 წელს, რადგანაც ორწლიანი პროექტები იყო. თუ შევადარებთ გასული 2015 წლის წლიურ ფაქტიურ საკასო შესრულებას რომელიც შეადგენდა 18 193 813 ლარს, მიმდინარე წელს გასულ წელთან შედარებით 477 265 ლარით მეტი ხარჯია გაწეული ანუ 3%-ით.

მათ შორის დარგობრივად:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში წლიური გეგმა შეადგენდა 2 927 785 ლარს, ფაქტიური შესრულება კი 2 827 940 ლარს, ანუ გეგმა შესრულდა - 96.6%-ით.

მათ შორის სარეზერვო ფონდის ხარჯვითი ნაწილმა ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვითმა ნაწილმა შეადგინა 217 008 ლარი. ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 100 136 ლარი. სულ ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან და აჭარის ბიუჯეტის სარეზერვო

ფონდიდან დახმარება გაეწია მუნიციპალიტეტის მასშტაბით 392-ოჯახს მათ შორის: ხანძრის შედეგად დაზარალებულ 8-ოჯახს 39236ლარი, გარდაცვლილის 3-ოჯახს 4000ლარი, სტიქიის შედეგად დაზარალებულ 28 ოჯახზე საცხოვრებელი ფართის ბინის ქირის თანხით უზრუნველყოფისათვის 78300ლარი, შტორმული ქარის შედეგად დაზარალებულ 23 ოჯახს დახმარება 30757 ლარი, და მძიმე მატერიალურ პირობებში მყოფ 332 მოქალაქეს გაეწია ფინანსური დახმარება 164851 ლარის ოდენობით. იხილეთ დანართი №3 და №3/1

თავდაცვის სფეროში:

- წლიური გეგმა შეადგენდა 97800 ლარს, ფაქტიური შესრულება კი 86164 ლარს, ანუ 88.1%.

ეკონომიკური საქმიანობა

წლიური გეგმა შეადგენდა 549154 ლარს, ფაქტიურ შესრულება კი 439205 ლარი, ანუ 80%. მათ შორის ფერდსამაგრი კედლების მოწყობისათვის გეგმა შეადგენდა 487085 ლარს, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 406 223ლარი ანუ 83,4% მუნიციპალიტეტის მასშტაბით 38 ოჯახს გაუკეთდა ფერდსამაგრი კედლების მოწყობის სამუშაოები, ხოლო 2 ფერდსამაგრი სამუშაო ჩატარდა გზის გამაგრებითი სამუშაოებისათვის.

-გარემოს დაცვა

წლიური გეგმა შეადგენდა 663 988 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 648 989 ლარი, ანუ 97.7%, მათ შორის: სანიტარული დასუფთავების ხელშეწყობისათვის გარემონტებული იქნა 70-ერთეული სანაგვე ურნა ღირებულებით 13 198 ლარის ოდენობით.

საბინაო კომუნალური მეურნეობა

-საბინაო კომუნალური მეურნეობა წლიური გეგმა შეადგენდა 6 756 167 ლარს, საკასო შესრულება კი 6 589 045 ლარი, გეგმა შესრულდა 97,5%-ით: მათ შორის:

კომუნალური მეურნეობის განვითარება გეგმა შეადგენდა 1 542 186 ლარს, საკასო შესრულება კი 1 466 924 ლარი, გეგმა შესრულდა 95,1%-ით:

ამახანაგობის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში დაიხურა 2 სახლი: მახინჯაურში წერეთლის ქ№5 ში, საცხოვრებელ სახლზე მოეწყო თუნუქის წყალშემკრები ღარები. სოფელ სალიბაურში N5,7,9,11, საცხოვრებელ სახლებში მოეწყო საკანალიზაციო სისტემა, ასევე მოეწყო სოფელ ერგეში მდებარე ბინათმესაკუთრე იმედი N2 სახლის სახურავი.

წყალმომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებები წლიური დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 3 284 713 ლარს საკასო შესრულება კი 3 199 318 ლარი, გეგმა შესრულდა 97,4%-ით: მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოეწყო 28-წყალმომარაგების სისტემა. იხ. დანართი №5

- გარე განათებაზე წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 527928 ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 521468 ლარი, ანუ 98.8%. მოეწყო 16 პროექტი მათ შორის: სოფ განთიადში, კაპრეშუმიში, ორთაბათუმი, აჭარისწყალი ევგენიძეები, ახალსოფელი, კიბე, კაპნისთავი, ქვედა ჩხუტუნეთი, სალიბაური, წინსვლა, კირნთი, ქვედა სამება, ზანაქიძეებსა, და თხილნარში მოეწყო გარე განათება.

-სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში მათ შორის გეგმა გათვალისწინებული იყო 1 401 340 ლარი საკასო შესრულებამ შეადგინა 1 401 335 ლარი, ანუ 100%. მათ შორის სოფლის მხარდამჭერი პროგრამით შეძენილი იქნა შიდა სასოფლო გზებზე 10 779,5კმ მზა ბეტონი რომლითაც დაგებული იქნა 35კმ. სიდა სასოფლო გზები. იხ. დანართი №-4,

-ჯანდაცვის სფეროში

ჯანდაცვის სფეროში არის 4-(ოთხთი) მიზნობრივი პროგრამა, აღნიშნული პროგრამების წლიური გეგმა შეადგენდა 179733 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 163832 ლარი, ანუ 91,2%.

1, ეპილევსიით დაავადებულ პირთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა წლიური გეგმა შეადგენდა 49998 ლარს, საკასო შესრულება კი 40919 ლარი ანუ 81.8 %, საანგარიშო პერიოდში მომსახურება გაეწია 136 ბენეფიციარს ასაკისა და სოციალური სტატუსის შეზღუდვის გარეშე.

2, მაჭახლის თემის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხელშეწყობის პროგრამა გეგმა შეადგენდა 15960 ლარს, საკასო შესრულება კი 15960 ლარი ანუ 100 %,

3, პირველადი ჯანდაცვის ცენტრების ფუნქციონირების ხელშეწყობის პროგრამა გეგმა შეადგენდა 23512 ლარს, საკასო შესრულება კი 21408 ლარი ანუ 91.1 %,

4, დიალიზით მოსარგებლე პირთა ტრანსპორტირების ხარჯით უზრუნველყოფის პროგრამა გეგმა შეადგენდა 25000 ლარს, საკასო შესრულება კი 22859 ლარი ანუ 91.4 %, პროგრამით ისარგებლა 28 ბენეფიციარმა.

დასვენება კულტურა და რელიგიის სფეროში

- წლიური გეგმა შეადგენდა 2359113 ლარს, საკასო შესრულება კი 2268038 ლარი ანუ 96.1 %, მათ შორის:

- მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში წლიური გეგმა შეადგენდა 810500 ლარს, საკასო შესრულება კი 727748 ლარს, ანუ 89,8%: მათ შორის: მოეწყო მინი მოედანი ერგეში, ჯოჯოში, ორთაბათუმში, ზანაქიძეებში და ასევე კეთილმოეწყო მახოში საჭიდაო დარბაზი.

- სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში გეგმა შეადგენდა 1508613 ლარს, საკასო შესრულება კი 1500291 ლარს, ანუ 99,4%. მათ შორის კულტურის ღონისძიების გეგმით გათვალისწინებული 66000 ლარიდან საკასო შესრულებამ შეადგინა 66000 ლარი. ანუ 100%:

განათლების სფეროში

- წლიური გეგმა შეადგენდა 4 863 853 ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 4412509 ლარი, ანუ 90,7%, მათ შორის:

- საშუალო ზოგადი განათლება მოეწყო ნაკირნათევის დაწყებითი სკოლა, გეგმა შეადგენდა 30744 ლარს ფაქტიური შესრულებამ კი შეადგინა 28225 ლარი ანუ გეგმა შესრულებულია 91.8%-ით,

- სკოლამდელი აღზრდა- წლიური გეგმა შეადგენდა 4 096 923 ლარს ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3 671 404 ლარი ანუ გეგმა შესრულდა 89,6%. დაგეგმილი იყო ხუთი ახალი ბაღის მშენებლობა, ოთხი არსებული ბაღის სარემონტო სამუშაოების ჩატარება და ინვენტარის შექმნა.

- სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში

- წლიური გეგმა შეადგენდა 736 186 ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 712879 ლარი, ანუ 96,8%, მათ შორის აღსანიშნავია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამა, პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 35000 ლარს, საანგარიშო პერიოდში აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 30 სტუდენტმა.

-

სოციალური დაცვის სფეროში

სოციალური დაცვის სფეროში არის 10-(ათი) მიზნობრივი პროგრამა,

- წლიური დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 1180331 ლარი, ფაქტიურ საკასო შესრულებამ შეადგინა 1 066 858 ლარი, ანუ 90,4%, მათ შორის:

1, (უფასო სასადილოები) – გეგმა შეადგენს 12021 ლარს, საკასო შესრულება კი – 10849 ლარს, ანუ 90,3%, პროგრამით სარგებლობს 21 ბენეფიციარი.

2, ომის მონაწილეებსა და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება გეგმა შეადგენს 5050 ლარს, საკასო შესრულება კი – 4550 ლარს, ანუ 90,1%, დახმარება გაეწია: მეორე მსოფლიო ომის 1 მონაწილეს (500ლარის ოდენობით) და ომში დაღუპულ მებრძოლთა 3 ოჯახს (თითოეულს 300 ლარის ოდენობით). სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით 1 ომის ინვალიდზე 500 ლარის ოდენობის დახმარება. ომში დაღუპული მებრძოლის ოჯახზე 5 ოჯახს (თითოეულს 400 ლარი). გარდაცვლილი ორი ომის მონაწილის ოჯახზე თითოეულს -250ლარი.

3, მრავალშვილიანი დედების (ყოველ მე-3 და მომდევნო შვილის შეძენისას) ერთჯერადი მატერიალური დახმარება გეგმა შეადგენს 61200 ლარს, საკასო შესრულება კი – 59400 ლარს, ანუ 97,2%, საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია: მე-3 შვილის დაბადებასთან დაკავშირებით 103 ოჯახს; მე-4 შვილის დაბადებასთან დაკავშირებით 10 ოჯახს და მე-5 და მომდევნო შვილის დაბადებასთან დაკავშირებით 1 ოჯახს.

4, მრავალშვილიანი და დედმამით ობოლ ბავშვთა (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ოჯახებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება გეგმა შეადგენს 28000 ლარს, საკასო შესრულება კი – 27000 ლარს, ანუ 96,4%, პროგრამით ისარგებლა 26 მრავალშვილიანმა ოჯახმა - 26000ლარი და დედ-მამით ობოლ 1 ბენეფიციარმა - 1000 ლარი.

5, 0-დან 70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ოჯახის წევრების გარდაცვალებასთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარება გეგმა შეადგენს 12600 ლარს, საკასო შესრულება კი – 10800 ლარს, ანუ 85,7%, წლის განმავლობაში დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველ 36 ოჯახს.

6, 0-70000 ქულის მქონე ოჯახებს პირველ და მეორე ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება გეგმა შეადგენს 7300 ლარს, საკასო შესრულება კი – 6000 ლარს, ანუ 82,2%, საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია: პირველი შვილის დაბადებასთან დაკავშირებით 8 ოჯახს; მე-2 შვილის დაბადებასთან დაკავშირებით 9 ოჯახს;

7, ბავშვთა აბილიტაცია რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა ტრანსპორტირების ხელშეწყობის პროგრამა გეგმა შეადგენს 43120 ლარს, საკასო შესრულება კი – 43120 ლარს, ანუ 100%, საანგარიშო პერიოდში პროგრამით ისარგებლა 90 ბენეფიციარმა.

8, სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე დახმარების უზრუნველყოფა გეგმა შეადგენდა 678 337ლარს საკასო შესრულებამ შეადგინა 576 325ლარი ანუ 85%. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 27-ოჯახმა, საიდანაც 21 ოჯახმა სრულად აითვისა თანხა, ხოლო 6 ოჯახმა აღნიშნულ პერიოდში ვერ აითვისა რომელიც გადატანილი იქნა 2017 წლის ბიუჯეტში.

ნაშთი წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 1 908 291 ლარს ხოლო საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის შეადგინა 1 559 063 ლარი,

რაც შეეხება აღნიშნულ პროცენტულ მაჩვენებელს 94,5% რომელიც შესრულებულია წლის მდგომარეობით დადებითია.